

საქართველოს წარგზავნილები ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე

ბაიკალ—ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლები შრომობენ. საქართველოს ახალგაზრდა სპეციალისტთა საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ამ ფერხულში თავიდანვე ჩაება და უკვე სასახელო წარმატებებიც მოიპოვა. ახლა დაბა ნია-გრუზინსკაია, სადაც ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები შრომობენ, მთელს მშენებლობაზეა ცნობილი. ამ პოპულარობას საფუძვლად მარტო სასახელო შრომა კი არა, ფიზკულტურასა და სპორტში მოპოვებული გამარჯვებებიც დაედო.

• • •

სურათზე: საქართველოს წარგზავნილთა დაბის ერთ-ერთი კუთხე.

ზ. ქვათაძის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

●

ბამ-ზე საქართველოს წარგზავნილების შრომითს და სპორტულ საქმიანობაზე მოგითხრობთ 14 სექტემბრის ნომერში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 181
(5471)

1975 წ.
11 სექტემბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მშდ კომპლექსს—სერიოზული მიდგომა!

რაც დრო გადის, სულ უფრო ძალუმად იჭრება საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი. ეს იმიტომ, რომ მშდ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამასთან, იგი დიდად უწყობს ხელს მომავალი თაობის, პიონერებისა და მოსწავლეების, აგრეთვე, უფროსი ასაკის მშრომელთა ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმას. ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორთან ერთად, იგი მთელი ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფის საზომიც არის. ბევრს მშდ-ს სტარტები იოლ გამოცდად მიაჩნია. სინამდვილეში კი იგი ყველასგან სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. მთელი სირთულე სწორედ მის მრავალმხრივობაშია, რაც ადამიანის შესაძლებლობათა უნივერსალიზმთანაა დაკავშირებული. მაგალითად, შეიძლება ჭაბუკი ან ქალიშვილი სწრაფად დარბოდეს, შორს ტყორცნიდეს ხელყუმბარას, მაგრამ აუზის ცისფერ ბილიკზე ან ცეცხლის ხაზზე ასეთსავე ოსტატობას ვერ იჩენდეს. მშდ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყოველმხრივ შევამოწმოთ ჩვენი ფიზიკური შესაძლებლობანი და სულიერი სიმტკიცე. ახალი კომპლექსი ხანდაზმულებსაც ფართოდ უღებს კარს სარბიელისკენ, რათა გაიკაჟონ სხეული, დიდხანს შეინარჩუნონ შრომისუნარიანობა და სიმხნევე. რა მდგომარეობაშია ეს საყოველთაო მოძრაობა ჩვენს რესპუბლიკაში, როგორ მიმდინარეობს ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება?

როგორც ცნობილია, შარშან ამ მოძრაობას უფრო ორგანიზებული და კონკრეტული ხასიათი მიეცა, როცა „კომსომოლსკაია პრავდის“ რედაქციამ ამ გაზეთის პრიზზე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საკავშირო გათამაშების გამართვა ითავა. ასპარეზობამ ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ფიზიკური აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს საშუალებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა. მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთი დადგენილებისა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის კომკავშირული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ფიზკულტურულ კოლექტივებში მშდ კომპლექსის ფართოდ დანერგვის შესახებ, საქმე მაინც ზედაპირულად კეთდება. დაბალია როგორც ტექნიკური შედეგები, ისე შეჯიბრებათა მომზადებისა და ჩატარების დონე.

ამ დღეებში თბილისში გაიმართა საქართველოს ზონალური პირველობა, 2 ოქტომბერს კი დაიწყება ფინალური რესპუბლიკური შეჯიბრებაც მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. ამ ასპარეზობების მზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში პრიზის გათამაშების რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა.

სხდომა გახსნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტისა და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის განყოფილების გამგემ ო. სიამაშვილმა, რომელმაც საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს გააცნო ზონალური და რესპუბლიკური სტარტების ჩატარების პირობები და ვადები.

ინფორმაცია მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ზონალური და რესპუბლიკური პირველობების ჩატარების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ნ. მესხმა.

შარშანდელმა ზონალურმა შეჯიბრებამ არადამაკმაყოფილებლად ჩაიარა და შედეგებიც დაბალი იყო. ყველაფერი ეს მთელი რიგი ორგანიზაციების სუსტი მუშაობის გამო მოხდა.

შარშანდელი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა თებერვალში მიიღეს ერთობლივი დადგენილება.

სხდომაზე გამოვიდნენ, აგრეთვე, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში რესპუბლიკური პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი ჯ. ნინუა, მშდ კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი გ. მხვაცაბაია.

სხდომაზე დამტკიცდა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის რესპუბლიკური გათამაშების სამუშაო გეგმა.

უ. ჭიჭინაძე.

ვეხმაურებით წერილებს
„სპორტული სინდისი“ და
„სპორტსმენი და საზოგადოება“

• •

სპორტული პატიოსნება, მეგობრობა, თავგანწირვა

ამერიკელ და საბჭოთა მოკრივეთა მატჩი საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ეს შეხვედრა ტელევიზიით გადაიცა, მაგრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება შეჯიბრების შედეგმა კი არა, მოკრივეთა ურთიერთობამ მოახდინა. არც ერთი ორთაბრძოლა ისე არ დამთავრებულა, მოკრივენი ერთმანეთს რომ არ გადახვეოდნენ. ყველაზე შთამბეჭდავი იყო ამერიკელი სპორტსმენის საქციელი: როცა საეჭვო გამარჯვება მიაკუთვნეს, უარის ნიშნად მან ხელების ქნევა დაიწყო. შემდეგ მივიდა საბჭოთა მოკრივესთან და გამარჯვების ნიშნად ხელი აუწია.

ეს იყო სპორტსმენის პატიოსნებისა და კეთილშობილების დამამტკიცებელი უტყუარი მაგალითი.

როცა ნამდვილ სპორტსმენზე ვლაპარაკობთ, მუდამ ვგულისხმობთ ვაჟკაცს, პატიოსანსა და კეთილშობილ პიროვნებას, რომელიც პირველ ყოვლისა ადამიანია და მოქალაქე, შემდეგ კი — სპორტსმენი.

ისტორიას სპორტული პატიოსნებისა და კეთილშობილების საკმაოდ ბევრი ფაქტი შემორჩა.

1896 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებში 100 კილომეტრზე ველორბოლის დროს ფინიშის ხაზს ორი სპორტსმენი უახლოვდებოდა — ფრანგი ფლამანი და ბერძენი კოლეტოსი. ბერძენს საბურავი გაუსკდა. მის მეტოქეს თავისუფლად შეეძლო გვერდის ავლა და ფინიშთან პირველი მისვლა, მაგრამ ფლამანი შეჩერდა, ფრანგული ელეგანტობით ქუდი მოუხადა და დაელოდა, სანამ მოწინააღმდეგე მანქანას მოაწესრიგებდა. შემდეგ კი ორივე ერთდროულად მოახტა ველოსიპედს. ფინიშთან პირველი მაინც ფრანგი მივიდა, ორივე მონაწილე ხალხმა ხელში აყვანილი გამოიყვანა სტადიონიდან. ფრანგი ველოსიპედისტის სახელი სამუდამოდ შევიდა სპორტული კეთილშობილების ისტორიაში.

ამ ამბავში არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა: ნამდვილ სპორტსმენს თანასწორ ბრძოლაში წყუროდა გამარჯვება.

საპოროს ოლიმპიურ თამაშებში 500 მეტრზე მოციგურავეთა ასპარეზობისას ინგლისელი ბოდინგტონი და ჰოლანდიელი ბოლსი ერთ გარბენში მოხვდნენ. ბოლო მოსახვევში ბოლსი დაეცა. ბოდინგტონს შეეძლო გვერდის ავლა, მაგრამ სიჩქარეში შეიძლებოდა მეტოქე დაეშავებინა. ბოლსის გადარჩენის მიზნით ბოდინგტონი გვერდზე გადაწვა და ძალით წაიქცა. მართალია, მან მეტოქეს არაფერი ავნო, მაგრამ I ადგილი დაკარგა და საკმაოდ მძიმედაც დაშავდა.

სპორტული კეთილშობილებისთვის ბოდინგტონი იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის სამახსოვრო თასით დაჯილდოვდა, რომელიც მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა გადასცა.

შეჯიბრების უაღრესად კრიტიკულ მომენტში, მაშინ როცა სპორტსმენის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობანი მაქსიმალურად დაძაბულია და მისი ერთადერთი მიზანი გამარჯვებაა, მაინც ფხიზლობს ადამიანი. ეს არის სულიერი სიმდიდრის საუკეთესო გამოვლინება.

ნათქვამია, წაგება და მოგება ძმები არიანო. ორივე შემთხვევაში იმდენად დიდია სპორტსმენის განცდები, რომ დამარცხებული ზოგჯერ მრავალათასიანი ტრიბუნის წინაშეც ვერ ფარავს მოზღვავებულ გრძნობებს და ბავშვივით ტირის. სწორედ ასე მოხდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში ძალოსანთა ტურნირის დროს. რას იზამ, ძნელია დაიოკო გრძნობები, როცა წლების მანძილზე არაადამიანური შრომა გაქვს გაწეული და როცა შენი იმედები და მიზნები ერთ წუთში იმსხვრევა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ფიზკულტურა და სპორტი—ყურადღების ცენტრში

ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურისა და სხვა დარგებში მიღწეულ წარმატებებს ღირსეულად უსწორებს მხარს ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტის მასობრიობას, სპორტსმენთა ოსტატობის ზრდასა და ბაზების კეთილმოწყობას. პარტიისა და კომკავშირის რაიკომების ბიუროებზე, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე ხშირად მსჯელობენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად. სწორედ სპორტული საქმიანობისადმი ჯეროვანი ყურადღება განაპირობებს ჩოხატაურელთა წარმატებებს. მაგალითად, რაიონში მუშაობს 65 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც 4 ათასზე მეტი ფიზკულტურელი მეცადინეობს. მათ ემსახურებიან სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე“, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, სტადიონი-იპოდრომი, ცენტრალური სპორტული დარბაზი, 7 სასოფლო სპორტდარბაზი, 18 ფეხბურთის მინდორი, 50 ფრენბურთისა და 25 კალათბურთის მოედანი, 5 ტირი, 24 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი. 8 რესპუბლიკური და 14 პირველი კატეგორიის მსაჯი.

ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისთვის ფიზკულტურის წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულია 12 კაცი, განათლების სამინისტროს წარჩინებულის სამკერდე ნიშნით — 1 მასწავლებელი. მეცხრე ხუთწლედში მომზადებულია მშდ კომპლექსის 3900 ნიშნოსანი, 2738 თანრიგოსანი სპორტსმენი, 2 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი და 50 საქართველოს სსრ სპორტის ოსტატი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სპორტული ბაზების მშენებლობა-კეთილმოწყობაში. „კოლმეურნის“ რაისაბჭოს სპორტულ დარბაზში დამთავრდა იატაკის დაგება და სამღებრო სამუშაოები. ახალი ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები გააკეთეს „საქსოფლტექნიკის“ რაიონულმა განყოფილებამ და ჩოხატაურის მე-2 საშუალო სკოლამ. კეთილმოწყობილი გახდა ხიდისთავის, დაბლაციხის, შუა განახლების საკოლმეურნეო ფეხბურთის მინდვრები, დასასრულს უახლოვდება საჭამიასერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტული მოედნების კეთილმოწყობა. ახალ კომპლექსურ მოედანს აშენებს ჩაისუბნის კოლმეურნეობა, შემოღობავენ ერკეთისა და ჩოხატაურის ფეხბურთის მინდვრებს. დღითი დღე იზრდება სპორტული შეჯიბრებების მონაწილე სპორტსმენთა რიცხვი, მაღლდება ასპარეზობათა ხარისხი, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიან რაიონის ლელომურთელები, რომლებმაც 24-ჯერ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონობა, წლეულს მათ მეთხუთმეტედ ხვდათ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონთა სახელი და გარდამავალი თასი.

წარმატებებია მოპოვებული საცხენოსნო სპორტში. ჩოხატაურელი ცხენოსნები სასახელოდ ასპარეზობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. აღსანიშნავია ახალგაზრდა მხედრის მირიან ბერძენიშვილის წარმატება, რომელმაც წლეულს საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ჩოხატაურელები კარგად გამოდიან ცხენბურთსა და ისინდში. წინა წლებთან შედარებით უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ფეხბურთში. უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს რესპუბლიკურ სპარტაკიადაში რაიონის მოსწავლეებმა.

რაიონის ახალგაზრდებში ფართოდ დაინერგა მშდ ახალი კომპლექსი. ამჟამად ნორმატივების ჩაბარებაში ჩაბმულია 2500-ზე მეტი კაცი.

მიღწეული ზღვარი როდია. ჩოხატაურელები კიდევ მეტი ენერგიით იშრომებენ, რათა ფიზკულტურასა და სპორტში უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვონ. მათ სჯერათ, რომ ეს ჯანმრთელობისა და ნაყოფიერი შრომის საწინდარია.

დ. გურგენიძე,
ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო დარგში.

კოხნარი,
ჩოხატაურის რაიონი.

ხულოელ ფიზკულტურელებს

ჩაშლილი კინოსეანსი

რაიონული ცენტრის კინოფიკაციის მუშაკებს უსიამოვნო ამბავი აცნობეს: მორიგი სეანსის დაწყებას არაფერი აკლია, კინოთეატრის დარბაზი კი თითქმის ცარიელია, აქაიქ, კანტიკუნტად სხედან მაყურებლები, ხოლო სალაროსთან კაცის ჭაჭანება არაა.

ამ უჩვეულო ამბით შეწუხებულმა კინოფიკაციის მესვეურებმა მაშინვე მიაკვლიეს სეანსის ჩაშლის მიზეზს და ვეებერთელა არზა აფრინეს, სადაც ჭერ არს: თუ ეს არ აიკრძალა, საფინანსო გეგმას ჩავარდნა არ ასცდებაო.

მიზეზი კი უბრალო იყო: რაიონის პირველობის ერთ-ერთი მატჩი ფეხბურთის სარბიელზე. აქ ტევა არ იყო, ასობით მაყურებელი ფეხზე მდგარი ადევნებდა თვალს ფეხბურთელთა ასპარეზობას, ფეხზე მდგარი იმიტომ კი არა, რომ მინდორზე მეტად ამაღელვებელ სიტუაციებს, სახიფათო მომენტებს ბოლო არ უჩანდა. არა, საფეხბურთო მინდორზე სკამები არ არის, ფეხბურთის ყურება კი ყველას უნდოდა, განურჩევლად ასაკისა.

ეს ამბავი მოგონილი არ გეგონოთ, სინამდვილეში მოხდა. იმ დღეს კინოთეატრს კაცი არ გაჰკარებია, ყველა ფეხბურთის საყურებლად იყო წასული.

მართლაც, ხულოელებს ძალიან უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, როგორც კი საშუალება მიეცემათ ასპარეზობის ნახვისა, არ აცდენენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ რაიონის მკვიდრნი განებივრებული როდი არიან სპორტულ სანახაობათა სიმრავლით, და თუ ასეთი ღონისძიება ჩატარდება დროგამოშვებით მაინც, მაშინაა სწორედ საშიშროება კინოსეანსის ჩაშლისა.

ჯადოქრები თუ...?

ხულოს რაიონში ახალგაზრდების დიდი სიმრავლეა. უმრავლესობას ძალიან იტაცებს სპორტში მეცადინეობა, ბევრია ჩაბმული ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, სათხილამურო სპორტის სექციებში. მაგრამ საწვრთნელი მეცადინეობის ჩასატარებელი ბაზა აქ ძალიან ცოტაა, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. შემოდგომის ბოლოსთვის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა თითქმის შეწყვეტილია. არც ღია სპორტული მოედნებით არიან განებივრებული ხულოელი სპორტსმენები. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ რაიონის ცენტრში არის ერთადერთი ბაზა— კალათბურთის მოედანი. ხულოს საშუალო სკოლას არ გააჩნია სამეცადინო სპორტული სარბიელი.

მაგრამ რაიონის ფიზკულტურის დარგის მუშაკები (ყველა მათგანს უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს მიღებული) შეუძლებელსაც კი აკეთებენ, რათა თავი არ შეირცხვინონ, ახალგაზრდობას ფიზიკური წრთობა არ მოაკლონ. განსაკუთრებით უყვართ კლასიკური ჭიდაობა. ალბათ იმიტომ, რომ რაიონი ხშირად პირველობას იხვეჭს საოლქო ასპარეზობებში, აქ გაზრდილი ჭაბუკები აჭარის ჩემპიონები, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების პირველობათა პრიზიორები, ნაკრები გუნდების წევრები არიან. ეს სიყვარული ამ სახეობის თავკაცის, გამოცდილი მწვრთნელის, სპორტსკოლის დირექტორ დ. ბოლქვაძის „ბრალიც" არის, რადგან მან შეძლო ფართოდ დაენერგა კლასიკური ჭიდაობა რაიონის ახალგაზრდებში და, როგორც მოგახსენეთ, წარმატებაც მოაპოვებინა მათ. ლ. მეხეშიძე, ჯ. ბოლქვაძე, თ. წულუკიძე, ნ. ბოლქვაძე, ხ. სოლომონიძე აჭარის ჩემპიონები არიან, ხოლო ორი უკანასკნელი საქართველოს ნაკრებში იყო შეყვანილი. რაიონში მოჭიდავეთა გახმაურებულმა წარმატებებმა დიდი პოპულარობა მოუხვეჭა ამ სახეობას და კლასიკური ჭიდაობის შესწავლის მსურველთა რიცხვი დიდად გაიზარდა.

მაგრამ სად იმეცადინონ აქაურმა მოჭიდავეებმა? კიდევ კარგი. არდადეგების პერიოდში სკოლა-ინტერნატის დირექცია მოწყალების თვალით გადმოხედავს ხოლმე მათ. დარბაზს უთმობს, მაგრამ ამ პერიოდში ხომ ძნელია მოსწავლე-სპორტსმენთა თავშეყრა. მიუხედავად ამისა, ჭიდაობის ფანატიკურ სიყვარულს თავისი გააქვს, სექცია სრული შემადგენლობით მეცადინეობს, სპორტსმენები ენერგიას არ იშურებენ, ოფლში იწურებიან, იციან, რომ წვრთნის შემდეგ თბილს კი არა, ცივ წყალსაც ვერ გადაივლებენ, შინ მისულებს მშობლები დაუტატანებენ, რას ჰგავხართო, მაგრამ ამას არაფრად აგდებენ.

დურსუნ ბოლქვაძემ ერთ პატარა ოთახში ერთმანეთზე დაწყობილი საჭიდაო ლეიბები გვიჩვენა.

— სასწავლო წელი დაიწყო, სკოლა-ინტერნატიდან გამოგვაბრძანეს. არადა, ახლა გვმართებს ყოველდღიური წვრთნა, საპასუხისმგებლო შეჯიბრება კარზეა მომდგარი, — გვითხრა სპორტსკოლის დირექტორმა.

მოჭიდავეთა თავკაცმა შეიძლება კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსავალი ახლაც ნახოს. მას არ გაუმხელია, მაგრამ ხულოელებმა მითხრეს, რომ შარშან ამ დღეში ჩავარდნილმა მოჭიდავეებმა, სავარჯიშო ადგილი რომ ვერსად გამოძებნეს, დურსუნმა საკუთარი სახლის მეორე სართულზე ერთი ოთახი გაათავისუფლა, შინაურები პირველ სართულზე „ჩაყარა", ახალი „საასპარეზო" საჭიდაო ლეიბებით მოჰფინა და აქ ამეცადინებდა ახალგაზრდებს. ეს ამბავი კარგა ხანს რომ გაგრძელდა, დურსუნსა და მისი ოჯახის წევრებს შორის კინაღამ უსიამოვნება მოხდა. ასეთ მდგომარეობაში არიან სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც, მაგრამ სექციები მაინც მუშაობს.

სპორტული პატიოსნება, მეგობრობა, თავგანწირვა

დასასრული

იმავე დროს, იქვე გვერდით, უდიდესი ბედნიერებაა. ვერც გამარჯვებული ფარავს აღტაცებას, ვინაიდან დიდია გამარჯვებით მოპოვებული ბედნიერება. სპორტსმენმა თავის მიზანს მიაღწია— გაიმარჯვა! მისი სულიერი მდგომარეობა ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ ხომ არ შეურაცხყოფს ეს მეტოქეს?. ხომ არ არის სპორტული ეთიკის დარღვევა?

სრულიადაც არა! გამარჯვებული თავის წარმატებას ზეიმობს — და არა მეტოქის წაგებას. გაივლის რამდენიმე წამი და იგი პირველი მივა მასთან, რათა მეგობრულად მოხვიოს ხელი.

ამას მოითხოვს სპორტული ეთიკა და ადამიანური მორალი. მაგრამ რამდენჯერ გვინახავს დამარცხებული და გაბოროტებული სპორტსმენი, რომელიც ზურგს აქცევს მეტოქეს. ვაჟკაცურად წაგება დიდი ხელოვნებაა. სამწუხაროდ, ამას სპორტსმენს იშვიათად თუ ასწავლიან.

რა თქმა უნდა, ყოველგვარი ზომების დაცვა ნორმალურ პირობებში არც ისე ძნელია, მაგრამ სულ სხვაა თავის შეკავება მაშინ, როცა შენი ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობანი მაქსიმალურადაა დაჭიმული. ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ, თუ ნამდვილი სპორტსმენი ხარ, ესეც უნდა შეგეძლოს.

საბჭოთა სპორტსმენისთვის მიუღებელია მოსკოველი დ. ბროდსკის საქციელი, რომელმაც დოლარებში გაყიდა სინდისი, პატიოსნება, პირადი სახელი და სამშობლოს სპორტული ღირსება: წინასწარ მოლაპარაკებით 3 ათას დოლარად გაყიდა ევროპის ჩემპიონობა.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართველი მოჭიდავე რომან ძნელაძე.

მელბურნის ოლიმპიადაში ძნელაძეს ბოლო შეხვედრა ჰქონდა ჩასატარებელი. ისე მოხდა, რომ თუ რომანი შეხვედრას წმინდად წააგებდა, ვერცხლის მედალს იგებდა, ხოლო თუ ქულებით დამარცხდებოდა, ბრინჯაოს მოიგებდა. (რას იზამ, ჭიდაობაში ასეც ხდება). რა თქმა უნდა, ცთუნება დიდი იყო. საკმარისი იყო რომანი ბეჭებზე გადაგორებულიყო, რომ ვერცხლის მედალი არ ასცდებოდა.

მაგრამ ჩვენმა ათლეტმა ბოლომდე ვაჟკაცურად იჭიდავა. მართალია, ვერცხლის მედალი დაკარგა, მაგრამ პატიოსანი სპორტსმენის სახელი მოიპოვა. ეს კი ყველაზე დიდი ჯილდოა.

ძნელია იყო სპორტსმენი, უფრო ძნელია იყო პატიოსანი, კეთილშობილი და სამართლიანი. შიგნით შეიძლება ყველაფერი გიდუღდეს, მაგრამ ერთი წამითაც არა გაქვს მოდუნების უფლება. ძნელია ნირწამხდარმა და დამარცხებულმა პირველმა მიულოცო გამარჯვება მეტოქეს, ძნელია, მაგრამ აუცილებელია.

რობერტ შავლაყაძესაც ხომ პირველმა ამერიკელმა ჯონ თომასმა მიულოცა ოლიმპიური ჩემპიონობა, შემდეგ კი ვეღარ გაუძლო მოზღვავებულ გრძნობებს და ბალახში პირქვედამხობილი ბავშვივით აქვითინდა.

სახელგანთქმულ მორბენალს რონ კლარკს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ყველა ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ კლარკი ფინიშზე მეექვსე მივიდა. მიუხედავად ამისა, მას მაინც ეყო ძალა მისულიყო ჩემპიონთან და პირველს მიელოცა, შემდეგ კი ფიზიკურად და სულიერად გამოფიტული იქვე, სარბენ ბილიკზე უგონოდ დაეცა.

სპორტში, ისე როგორც არსად, განსაკუთრებული სილამაზით მჟღავნდება ვაჟკაცური თავგანწირვა, სპორტის უანგარო სიყვარული, ფიზიკური და სულიერი ძალების მაქსიმალური მობილიზება.

სპორტული გმირობა უცაბედი შინაგანი იმპულსის აფეთქება როდია, როდესაც ადამიანს შეუძლია აბობოქრებულ მდინარეში ან ცეცხლმოდებულ სახლში შევარდეს. სპორტული გმირობა წინასწარი თავგანწირვაა, წლების განმავლობაში უსასტიკესი რეჟიმი, რომელიც ყოველთვის როდი მთავრდება სასურველი შედეგით.

უდიდესი ბედნიერებაა იყო სპორტსმენი და იმარჯვებდე, მაგრამ სპორტში გამარჯვება თვითმიზანი როდია. ჩვენ გვაინტერესებს არა მედლების რაოდენობა, არამედ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი. ჩვენ სპორტსმენში გვინდა ვნახოთ სრულყოფილი ადამიანი, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული ფიზიკური სიძლიერე და სულიერი სიმდიდრე. ადამიანი, რომელიც დაიპყრობს დროს და გარემოს, სამყაროსა და სივრცეს, ხმელეთსა და ოკეანეს. სპორტი ჩვენი მომავლის იმედია.

სპორტი პატიოსნების, ადამიანური მორალისა და კეთილშობილების მაღალი ტრიბუნაა, რომელიც აკავშირებს და ამეგობრებს არა მარტო ცალკეულ სპორტსმენებს, არამედ მთელ ქვეყნებსა და ხალხებს.

რაინდული სული, პატიოსნება, კეთილშობილება და შინაგანი მაღალი კულტურა — აი, ნამდვილი სპორტსმენის ძირითადი კრედო.

სწორედ ამ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება „ლელოს" მოწინავე წერილებში „სპორტული სინდისი" და „სპორტსმენი და საზოგადოება". წერილებში სწორადაა აღნიშნული, რომ საზოგადოების ურთიერთობა ჩვენს სპორტსმენებთან დღეს ძირითადად შეჯიბრებებზე დასწრებითა და თითოოროლა შემთხვევითი შეხვედრით შემოიფარგლება.

ჩვენი ყველა გამარჯვებისა და დამარცხების ღრმა ანალიზი საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობით უნდა ხდებოდეს.

დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა, სადაც მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა ჩვენი ნაკლოვანი მხარეები. სპორტის ბევრ სახეობაში თავი შევირცხვინეთ (ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას) და აქ სერიოზული დასკვნების გაკეთებაა საჭირო.

სწორად აღნიშნავს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე („ლელო", 29 ივლისი, 1975 წ. „მომთხოვნელობა და დისციპლინა"), რომ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ უდისციპლინობას, უხეშობას, უსინდისობას, პარადულობას, სიყალბეს. გვეყო ამდენი თავის ქნევა, წაყრუება, ლიბერალობა...

ჩვენს ხალხს უყვარს სპორტი. იგი ქართველი კაცის სული და გულია, ამიტომ ქართული სპორტის აყვავებისა თუ ჩამორჩენის საკითხი ეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ქართულ სპორტს დღეს უჭირს და მხარში ამოდგომა სჭირდება. მარტო გაკიცხვა და ლაფში ამოსვრა საქმეს ვერ უშველის.

ქართულ სპორტს ბევრი მოვალე ჰყავს. მის წინაშე ვალში არიან მეცნიერები, ექიმები (თეორიული და პრაქტიკული დახმარება გვჭირდება), ხელოვნების, ლიტერატურის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები (ჰაერივით გვინდა სულიერი საზრდო), ყველა ის, ვისაც უყვარს ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

გ. ყირმელაშვილი,

დოცენტი, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

მსაჯის ტრიბუნა

მსაჯობის კლასის ამაღლებისთვის

თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება. ამას ხელს უწყობს საბჭოთა მოჭიდავეთა წარმატებები ყველა რანგის ჩემპიონატებში. ამ სახეობის გეოგრაფია სულ უფრო ფართოვდება საბჭოთა კავშირშიც და საზღვარგარეთაც, სულ უფრო მეტი გუნდი მონაწილეობს მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ თამაშებში.

საბჭოთა მოჭიდავეთა მომზადების მაღალი დონე, ტექნიკის მაღალი კლასი, ჭიდაობის დინამიკურობისა და მიმზიდველობის ზრდა სულ უფრო მეტ მაყურებელს იზიდავს შეჯიბრებებზე.

ჭიდაობის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციის თაოსნობით ამ სახეობის საერთაშორისო წესებში შეტანილმა ცვლილებებმაც—პასიურობის ზონის შემოღებამ, მაღალტექნიკური გდებისთვის საპრემიო ბალის დაწესებამ, პასიურობისადმი უფრო მკაცრმა დამოკიდებულებამ.

მაგრამ წესების ზოგიერთი პუნქტის ფორმულირება მსაჯების ერთ ნაწილს მათი თვითნებური ახსნის საშუალებას აძლევს, რასაც გარკვეული სხვადასხვაობა შეაქვს შერკინების შეფასებაში.

მეორე მხრივ, შეჯიბრების წესების დაუსრულებელმა რეფორმებმა, კერძოდ კი ბრძოლის დროის შემდგომმა შემცირებამ შესაძლოა სხვა უკიდურესობამდე მიგვიყვანოს: ტექნიკურად და ფიზიკურად უფრო ნაკლებ მომზადებულმა შეიძლება უკეთ მომზადებულ მეტოქეს გაუძლოს შერკინებისთვის უკვე შემოთავაზებულ 6 წუთში. ამავე დროს, ორთაბრძოლის დროის შემცირებისა და სანახაობრივი მხარის გაუმჯობესებისთვის შეიძლება ჰქონდეს აზრი წმინდა მოგების — ხალიჩაზე ბეჭებით წამიერად შეხების ტრადიციულ აღნიშვნას. ჩვენ ხომ ხშირად გვინახავს ელვისებური გდება ბეჭებზე და მეტოქის ხანგრძლივი „დაწნეხვა" ხალიჩაზე, რომლის დროსაც ეს უკანასკნელი ცდილობს ბეჭებზე იგოროს, მკვეთრი მოძრაობით აიტანოს ტანი ხალიჩიდან... ხშირად ილეთის ჩამტარებლები თვითონაც ეხებიან ბეჭებით ხალიჩას, „უსუფთაოდ" აკეთებენ ამ ილეთს, ვინაიდან იციან, რომ მაინც არ დაისჯებიან.

სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაცია ტრადიციად ამკვიდრებს მსაჯთა ყოველწლიური საკავშირო სემინარის ჩატარებას, ათი საუკეთესო არბიტრის დასახელებას, მთავარი მსაჯების განაწილებას საკავშირო შეჯიბრებებსა და ტურნირებზე.

ყველა ამ ღონისძიებამ უკვე მოგვცა დადებითი შედეგი. ახლა საბჭოთა კავშირში 25-30 არბიტრია, რომლებიც მომზადებით საერთაშორისო მოთხოვნებს უპასუხებენ, წარმატებით ატარებენ საერთაშორისო ტურნირებს ექსპერიმენტული წესებით (ამ წესებას ნაწილი უკვე მიიღო ფილამ).

სასურველია, რომ სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაცია საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარული გეგმის შესაბამისად რესპუბლიკურ ფედერაციებს უგზავნიდეს ამ 30 არბიტრის მუშაობის წლიურ გრაფიკს. აქ უნდა შევიდეს ადგილობრივი, რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები.

სსრ კავშირში არის ჯგუფი მაღალი პროფესიული დონის მქონე, კვალიფიციური არბიტრებისა, რომლებიც რეგულარულად მსაჯობენ ყველა დიდ საერთაშორისო ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებში, აგრეთვე, სამატჩო შეხვედრებში. ძირითადი მასა იმ მსაჯებისა, რომლებიც მრავალრიცხოვან საკავშირო პირველობებსა და ტურნირებს ემსახურებიან, იშვიათად გადის საზღვარგარეთ. როგორც წესი, სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფები მწვრთნელებით კომპლექტდება. სამშობლოში დაბრუნებული მწვრთნელი ეუბნება მსაჯს: „აი, მე ვიყავი იქ. იქ სულ სხვანაირად მსაჯობენ..." ეს, რა თქმა უნდა, ჩრდილს აყენებს მსაჯის ავტორიტეტს. არბიტრი აფასებს არა მარტო მოჭიდავის ოსტატობას, არამედ მისი მწვრთნელის მუშაობასაც. ამიტომ იგი გამუდმებით საქმის კურსში უნდა იყოს, იცნობდეს ჭიდაობის თანამედროვე მოთხოვნებს და ჰქონდეს უმაღლესი თანრიგის შეჯიბრებებში მსაჯობის სოლიდური პრაქტიკა.

საიდუმლოებას არც ის წარმოადგენს, რომ მსაჯობის დაბალი დონე დამოკიდებულია არა მარტო არასტაბილურ მსაჯობაზე და არბიტრების უკმარ მომზადებაზე. როგორც წესი, მსაჯები ან მწვრთნელები არიან, ან საერთოდ სპორტის დარგში მომუშავენი. მათთვის უფრო ძნელია ობიექტურობის დაცვა. ამას მოწმობს მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარის ვ. მოტალინის წერილში მოყვანილი მაგალითი („სოვეტსკი სპორტი", 20 მაისი).

ამავე დროს, არის არბიტრებას კიდევ ერთი ჯგუფი. ამ ჯგუფში შედიან ყოფილი მოჭიდავეები, რომლებიც სპორტულ საქმიანობას არ ეწევიან, მწვრთნელებად არ მუშაობენ, მაგრამ საყვარელ სახეობასთან კავშირი არ გაუწყვეტიათ: მოსკოველი მსაჯისთვის ვ. კანტორისთვის უმაღლესი — საერთაშორისო კატეგორიის მინიჭება მოწმობს, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას ჯგუფი მაღალკვალიფიციური, ობიექტური არბიტრებისა, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ და ამავე დროს შეუძლიათ სწორად, ზუსტად შეაფასონ მოჭიდავეთა ოსტატობა, მათი მწვრთნელების მუშაობა. ამ ტენდენციამ თავი იჩინა საქართველოშიც, სადაც მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის თავმჯდომარედ არჩეულია ა. გვიმრაძე, წარსულში ცნობილი მოჭიდავე.

ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ჩვენი შეჯიბრებების მსაჯობის დონისა და საბჭოთა არბიტრთა საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას.

საქართველოში ესმით და უყვართ ჭიდაობა. ჭიდაობის მსაჯთა რესპუბლიკურმა კოლეგიამ უკვე დასახა მთელი რიგი ღონისძიებები შეჯიბრებებში არბიტრობის დონის ამაღლების მიზნით: რესპუბლიკის ყველა ქალაქში დაიგზავნა მსაჯთა კოლეგიების დებულებები, ჩატარდა სემინარები. ჩვენს არბიტრებს სულ უფრო ხშირად ნიშნავენ მსაჯებად საკავშირო შეჯიბრებებსა და ტურნირებში.

ამავე დროს, სასურველია ჩვენი სახელგანთქმული ჩემპიონები უფრო ხშირად ესწრებოდნენ შეჯიბრებებს და შეძლებისდაგვარად მსაჯობდნენ კიდეც. ეს ხელს შეუწყობს ჭიდაობის პოპულარიზაციასაც და ობიექტურ მსაჯობასაც.

მიზანშეწონილია წლის საუკეთესო არბიტრთა ათეულის დასახელება ჩვენს რესპუბლიკაშიც, მათი წახალისების სისტემის მოფიქრება.

ყურადღებას იმსახურებს ვ. მოტალინის წინადადება რესპუბლიკურ ცენტრებსა და ქალაქებში მუდმივმოქმედი სემინარებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების შექმნის შესახებ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების, კონსულტაციებისა და მსაჯთა ხელახალი ატესტაციისთვის.

თბილისში ეს პრობლემა შეიძლება ფალავანთა კლუბის ბაზაზე გადაწყდეს.

ა. კუხიანიძე,

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

მორიგი ტირაჟი

10 სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 34-ე ტირაჟი. გთავაზობთ „იღბლიან" ნომრებს:

„სპორტლოტო": 9, 22, 24, 40, 41, 48.

„სპორტლოტო-2": 10, 14, 28, 40, 46, 49.

ძალიან უჭირთ

სპორტსმენები საოლქო შეჯიბრებებში თავს არ ირცხვენენ.

რაიონში სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის მშვენიერი კლიმატური პირობებია — თვეების მანძილზე უხვი თოვლი, ტრასების მოსაწყობი ადგილები, მაგრამ საქმეს აფერხებს სპორტის ამ სახეობისთვის საჭირო ინვენტარის ნაკლებობა. რაიონული ცენტრის სამრეწველო საქონლის მაღაზიაში სპორტული ინვენტარის გასაყიდად გამოყოფილი ერთი კუთხე ყოველთვის ცარიელია. ის კი იყო, რომ შარშან გასაყიდად შემოზიდეს თხილამურები, რომელთა გამოჩენას აქაური მოთხილამურეები ვაშას ძახილით შეხვდნენ, მაგრამ რა გამოვიდა, რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ ზოგი შუაზე გადატყდა, ზოგი დასკდა და წვრთნისთვის უვარგისი გახდა. ხულოელებს უძნელდებათ სათხილამურო ფეხსაცმლის შოვნაც. ამის მიუხედავად, ხულოელი მოთხილამურეები აჭარის მასშტაბით პირველები არიან. შესამჩნევ წარმატებებს აღწევენ გოგონები ნარიე დეკანაძე, რუსუდან ჯორბენაძე, ჭაბუკები ო. საგინაძე, ნ. ქედელიძე, ა. როგაძე და სხვები.

ახლაც არ დაიჯერებთ, რომ ხულოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ჯადოქრები არიან? მაგრამ ყველაფერი ეს მათ დიდი ენერგიის ხარჯვის, ხელმძღვანელ ამხანაგებთან ხვეწნა-მუდარის, დიდი შრომისა და ოფლის ფასად უჯდებათ.

იმედის თვალით უყურებენ მომავალს ხულოს რაიონის სპორტის მოყვარულები. სულ ახლახან გადაწყდა საფეხბურთო სარბიელის მთლიანი რეკონსტრუქცია. მოეწყობა თანამედროვე ტიპის საფეხბურთო მინდორი, გაკეთდება დასაჯდომი ადგილები. ამ ამბავს დიდი სიხარულით შეხვდნენ ხულოელი ახალგაზრდები, თუმცა იქვე გაახსენდათ, რომ ასეთივე გადაწყვეტილება იყო მიღებული ზუსტად 8 წლის წინათ სპორტული დარბაზის აგების თაობაზე, მაგრამ ახალგაზრდები დღესაც გულდაწყვეტილი ჩაუვლიან ხოლმე ამ მშენებარე სპორტულ სარბიელს, რომლის მწყობრში ჩადგომასაც საშველი არ დაადგა.

სიუჟეტი ფელეტონისთვის

ნამდვილად საფელეტონო სიუჟეტია ხულოს სპორტული დარბაზის აშენების ამბავი. მისი აგება დაიწყო 1967 წელს და მშენებლებმა (ხულოს რაიონის სარემონტო კონტორა, უფროსი ლ. ბოლქვაძე) მხოლოდ საძირკველი ამოიყვანეს. მეორე წელს არაფერი გაკეთებულა. 1969 წელს კედლების ამოყვანა დაიწყეს და აქაურმა ახალგაზრდებმა სურვილი გამოთქვეს უსასყიდლოდ ემრომათ მშენებლობაზე. უნდა გენახათ, რა გატაცებით საქმიანობდნენ ისინი. მხოლოდ შარშანწინ შეძლეს მომავალი სპორტული დარბაზის თუნუქით გადახურვა, შარშან სპორტულ ბაზას არაფერი შემატებია, წლეულს იატაკი დააგეს, მაგრამ ჭერიდან წვიმის ჩამოსვლის საშიშროება მაინც არის, რადგან სახურავის სარტყელი ჭერ კიდევ არაა დამთავრებული. ამ სპორტული ბაზის მშენებლობის დამთავრებას ფონდირებული მასალის უქონლობა უშლის ხელს, არადა, დრო ულმობლად მიდის წინ, თუნუქის სახურავი თავის დროზე არ შეუღებიათ და ახლა მას ჟანგმა შეუტია „შესაშმელად“.

ხომ დარწმუნდით, რომ ნამდვილად საფელეტონო სიუჟეტია?

— ჩვენ უკეთესი მომავლის იმედით ვცხოვრობთ, — ამბობს ხულოს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რ. აბულაძე, — თუ მეტი დახმარება იქნება, წარმატებებიც იმრავლებს. სულ ახლახან შედგა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარების ორწლიანი გეგმა, სადაც ბევრი კარგი ღონისძიებაა გათვალისწინებული. რაიონის სოფლებში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობას სტიმული მისცა კოლმეურნეობათა გამსხვილებამ. სოფლების ოქტომბერის, დიდაჭარის, დიოკნისის, ოქრუაშვილების კოლმეურნეობებში დაუშვეს ფიზკულტურის მეთოდისტის შტატები. აქ მუშაობის მსურველებიც არიან, მაგრამ გვაკვირვებს ერთი ამბავი — მეთოდისტისთვის ხელფასად მხოლოდ 50 მანეთი რატომაა განკუთვნილი თვეში (?!).

სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის კარგი პირობებია სოფელ ქედლებში. აქ შეიძლება მოეწყოს სამთო-სათხილამურო ბაზა, სადაც გვიან ზაფხულამდე გაგრძელდება წვრთნა და შეჯიბრებები. „კოლმეურნის“ საოლქო საბჭო დაგვპირდა აქ ფინური სახლების ჩადგმას, ტურიზმის საქართველოს საბჭო — საბაგირო გზის აგებას. თუ დაპირება შესრულდა, ეს სათხილამურო ბაზა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

ყველას გვახარებს სკოლების მშენებლობის დიდი ტემპი. ჩვენს რაიონს ყოველწლიურად ემატება ახალი სასკოლო შენობები სპორტული დარბაზებით. მაგრამ ამ დარბაზებს კვლავ დიდი ხნის წინათ დამტკიცებული პროექტით აშენებენ. არადა, რაოდენ გულდასაწყვეტია, როცა მშვენიერ სასკოლო შენობას ისეთი სპორტული დარბაზი აქვს, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევს.

... მართლაც, გამოუვალ მდგომარეობაში არიან ხულოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები თუ მათ ხელმძღვანელმა ორგანოებმა დახმარების ხელი დროულად არ გაუწოდეს, ის დაუოკებელი, ფანატიკური სიყვარული სპორტისადმი, ახალგაზრდობის ფიზიკური გაკაჟების სურვილი შეიძლება ერთ დღეს, ისე, უბრალოდ, გაქრეს.

ამიტომ დროზე უნდა დავეხმაროთ ხულოელ ფიზკულტურელებს, მათს თავკაცებს.

ზ. ჯაფარიძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).
ხულოს რაიონი.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

9 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები კიშინიოვში შეხვდნენ ადგილობრივ „ნისტრუს“ და ფრედ დაამთავრეს თამაში — 0:0.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ზვეზდა“ (პერმი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:2, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 0:2, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 4:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტ.“	28	16	6	6	55—26	38
„დინამო“	28	15	8	5	41—19	38
„ტავრია“	29	15	7	7	50—32	37
„ქაირათი“	29	15	6	8	43—27	36
„ნისტრუ“	29	13	9	7	34—33	35
„ნეფთჩი“	29	12	10	7	40—25	34
„ტორპედო“	28	11	11	6	35—24	33
„სპარ.“ ი.-ფ.	29	13	6	10	44—34	32
„შინიკი“	28	9	11	8	31—29	29
„სპარ.“ ორ.	28	11	7	10	30—30	29
„მეტალურგი“	28	9	10	9	34—29	28
„პამირი“	29	8	11	10	35—38	27
„კუზბასი“	28	9	6	13	28—39	24
„რუბინი“	28	6	12	10	26—43	24
„ყუბანი“	28	7	9	12	26—32	23
„ზვეზდა“	28	8	7	13	24—33	23
„სპარ.“ ნ.	28	7	9	12	20—31	23
„მეტალისტი“	29	7	9	13	20—35	23
„ურალმაში“	28	8	3	17	29—47	19
„ალგა“	29	4	5	20	21—60	13

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „ივერია“ (ხაშური) — „განთიადი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, ორმხრივ იერიშებში. მასპინძლებმა გაიმარჯვეს მე-80 წუთზე ხაჩიძის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის მეშვეობით.

● უნივერსიტეტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:0. მსაჯი ი. მჭედლიშვილი (თბილისი).

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ანგარიში მე-40 წუთზე გახსნა კანკავამ. შესვენების შემდეგ „სალხინოს“ დიდი უპირატესობა ჰქონდა, სტუმრების კარში. ჯერ საკუთარმა მცველმა ჩაჭრა მეორე ბურთი, რის შემდეგაც ოდიშარიამ და ა. დანელიამ ანგარიში 4:0-მდე აიყვანეს.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ი. ცერცვაძე (სოხუმი).

76-ე წუთზე არმიელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ქასრაშვილმა.

● „ვარძია“ (ასპინძა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

სტუმრების კარში ბურთი გაიტანა ხაჩატურიანმა.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი მ. სიჭინავა (გუდაუთა).

თბილისელი კვარაცხელიას მიერ გატანილი გოლი მატჩის დასასრულს გაქვითა მურღულიამ.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა ჭიათურელმა მაღრაძემ, შემდეგ მანვე კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო 43-ე წუთზე გლინიანოვმა მესამედ აიღო ოჩამჩირელთა კარი. „ამირანმა“ ამ 3 გოლს მხოლოდ ერთით უპასუხა 70-ე წუთზე (ლოგუა).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 2:3. მსაჯი მ. ლოხაბერიძე (ქუთაისი).

სტუმრებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და გამარჯვებაც მოიპოვეს. მათგან 2 ბურთი გაიტანა ბერძენიშვილმა, 1 — ანდრიაძემ. „ქართლის“ მხრივ გოლები გაიტანეს ზ. და გ. რევაზიშვილებმა.

● „შუქურა“ (კობულეთი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1. მსაჯი ს. ალიხანოვი (თბილისი).

ქობულეთელმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებული მონდომებით, ძლიერად ითამაშეს ლიდერის წინააღმდეგ. 73-ე წუთისთვის ანგარიში იყო 2:0 „შუქურას“ სასარგებლოდ (ილურიძე, დიკი). დინამოელებმა მხოლოდ სხვაობის შემცირება შეძლეს (ბანცაძე).

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ორივე გუნდი აუტსაიდერთა შორისაა და ამიტომ თითოეულ ქულას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გილაურის მიერ გატანილმა გოლმა „ლოკომოტივს“ უაღრესად საჭირო გამარჯვება მოუტანა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	28	20	5	3	61—36	45
„მაღაროელი“	27	20	4	3	63—16	44
„იმერეთი“	29	14	8	7	45—35	36
„სალხინო“	26	14	7	5	49—26	35
პოლიტ. ინსტ.	26	12	7	7	51—29	31
„ივერია“	28	10	10	8	27—23	30
„ქართლი“	28	11	7	10	46—43	29
უნივერს.	23	11	6	6	31—24	28
ფიზკ. ინსტ.	23	10	7	6	38—28	27
„შუქურა“	29	7	13	9	34—43	27
„ამირანი“	29	9	9	11	26—38	27
„დურუჯი“	27	8	10	9	25—34	26
„კახეთი“	26	9	6	11	30—24	24
„კოლხ.“	26	10	4	12	30—28	24
„მეშახტე“	27	9	6	12	36—37	24
„ეგრისი“	28	7	9	12	35—53	23
„მეტალურ.“	28	8	6	14	26—38	22
ასკ თბ.	24	8	4	12	34—35	20
„განთიადი“	26	5	8	13	21—36	18
„ლოკომოტ.“	27	6	6	15	21—45	18
„ვარძია“	27	4	8	15	26—54	16
„კოლხ.“ ხ.	28	5	6	17	26—56	16

II ჯგუფი

I ზონა

„არაგვი“ (დუშეთი) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:3, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 1:0, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2, „ყინცვისი“ (ქარელი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:2, „განახლება“ (ადიგენი) — „განთიადი“ (კასპი) 2:1, „სამცხე“ (აწყური) — „ფოლადი“ (რუსთავი) 1:1, „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) — „არაგვი“ (მცხეთა) 2:1.

II ზონა

„გიგანტი“ (ლაითური) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 5:4, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 3:1, „მზიური“ (გალი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:2, „სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ქუთაისი) 3:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 7:0, „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:0.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„განახლება“	22	16	4	2	41—17	36
„არაგვი“ (მ.)	22	15	4	3	81—37	34
„ფოლადი“	22	14	3	5	69—31	31
„მადნეული“	22	13	5	4	57—35	31
„პოლიტექ.“	23	11	7	5	41—32	29
„ჩამომსხმ.“	22	13	2	7	47—37	28
„განთიადი“	23	10	6	7	34—26	26
„არაგვი“ (დ.)	23	11	4	8	64—59	26
„სამცხე“	22	8	6	8	45—39	22
„სპარტაკი“	21	8	5	8	41—29	21
„მესხეთი“	21	8	3	10	33—37	19
„ალაზანი“	20	5	5	10	25—54	15
„ყინცვისი“	22	5	2	15	20—52	12
„ცისკარი“	23	3	3	17	29—68	9
„ქიმიკოსი“	23	1	6	16	20—47	8
„ჰერეთი“	23	2	3	18	27—74	7

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე“	20	17	1	2	42—18	35
„ენერგეტ.“	20	14	1	5	50—23	29
„ჩიხურა“	20	10	8	2	37—15	28
„ბახმარო“	20	10	6	4	32—19	26
„გიგანტი“	20	10	5	5	46—30	25
„მექალალდე“	21	11	3	7	40—29	25
„სულორი“	20	10	4	6	34—29	24
„მშენ.“ (ბ.)	20	7	3	10	29—31	17
ხდკ	20	5	4	11	30—39	14
„სამგურალი“	20	4	6	10	29—43	14
„მზიური“	20	5	3	12	35—52	13
„დინამო“	19	3	5	11	21—43	11
„ნაკადული“	20	3	4	13	18—38	10
„მშენ.“ (ქ.)	18	2	3	13	23—57	7

ზონალური პირველობა

აღმოსავლეთის ზონა

„რუბეროიდი“ (გარდაბანი) — „იორი“ (სართიჭალა) 2:0, „შალაური“ (თელავი) — „მეშაქრე“ (აგარა) 4:5, „არგოხი“ (ახმეტა) — „ელასტიკი“ (რუსთავი) 1:1.

დასავლეთის ზონა

„კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — „სამეგრელო“ (ხაშუმე, ჩხოროწყუ) 3:2, „ქიმიკოსი“ (წულუკიძე) — „კოლმეურნე“ (ამბროლაური) 6:1, „ქვედა ბახვი“ (მახარაძე) — „კოლმეურნე“ (თერჯოლა) 3:1.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთის ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეშაქრე“ (აგარა)	6	4	1	1	13—9	9
„მშენებელი“ (წითელი წყარო)	5	4	0	1	17—7	8
„ელასტიკი“ (რუს.)	6	2	3	1	12—8	7
„არგოხი“ (ახმეტა)	5	2	1	2	9—9	5
„რუბეროიდი“ (გ.)	6	1	2	3	7—8	4
„იორი“ (სარ.)	4	1	1	2	5—7	3
„შალაური“ (თ.)	6	1	0	5	8—23	2

დასავლეთის ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქიმიკოსი“ (წ.)	7	5	2	0	20—5	12
„ქვედა ბახვი“ (მ.)	7	4	2	1	10—5	10
„კოლ.“ (ამბ.)	7	2	2	3	11—16	6
„კოლ.“ (თერ.)	7	3	0	4	13—19	6
„კოლ.“ (ლანჩ.)	7	2	1	4	14—14	5
„სამეგრელო“ (ხაშუმე, ჩხორ.)	7	0	3	4	11—20	3

საჯარიმო [illegible]

განვლილი ტურის მატჩებში კვლავ იყო დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევები. სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის გუნდისა და ზუგდიდის „მექალალდის“ შეხვედრისას ხულიგნურად იქცეოდნენ ზუგდიდელი ფეხბურთელები. მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს რ. მაქაცარია. იგი ამის შემდეგაც განაგრძობდა უწესო საქციელს და მინდვრიდან გააძევეს. ზუგდიდელმა გ. გუგუჩიამ და სამტრედიელმა ა. სულავამ მინდორზე მუშტი-კრივი გამართეს, რისთვისაც ორივე გააძევეს მინდვრიდან. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ზუგდიდელ თ. იზორიას ჩამოერთვა პირადი ბარათი მესამე გაფრთხილება მიიღო ზუგდიდის „მექალალდის“ ფეხბურთელმა ლ. დარასელიამ, ხოლო მეორე — ვ. სიჭინავამ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზემოჩამოთვლილ პირთა ალვირახსნილ საქციელზე იმსჯელებენ ენგურის ქაღალდის კომბინატის დირექცია, პარტიული ორგანიზაცია და სათანადო ზომებსაც მიიღებენ.

მინდვრიდან გააძევეს თბილისის არმიელთა გუნდის წევრი ვ. კაველიძე.

მეორე გაფრთხილება მიიღეს თ. ტალახაძემ („დურუჯი“, ყვარელი) და ე. ქირდიკოშვილმა („განთიადი“, კასპი).

სხვადასხვა დანაშაულისთვის გაფრთხილებული არიან შემდეგი ფეხბურთელები: ვ. ამირანაშვილი და გ. გვენცაძე („რუბეროიდი“, გარდაბანი), მურ. ჯაფარიძე („მადნეული“, ბოლნისი), ჯ. მინდორაშვილი („ცისკარი“, სიღნაღი), თ. ფარცვანია („კოლხეთი“, ხობი), ბ. ბურჯიაშვილი („იორი“, სართიჭალა), ზ. ჩემინავა („ელასტიკი“, რუსთავი), გ. არაბიძე („მეტალურგი“, ზესტაფონი), ვ. ტოხოკანიანი („ვარძია“, ასპინძა), ი. გლავაცკი და რ. ამბრიაშვილი („ქართლი“, გორის რაიონი).

გამარჯვება ბრწყინვალე გოლით

მიუნხენი, 10 სექტემბერი. ამ ქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე „სუპერთასის" გათამაშების პირველ მატჩში კიევის „დინამოს" ფეხბურთელებმა მოუგეს ადგილობრივ „ბაიერნს" ანგარიშით 1:0 (0:0). 66-ე წუთზე გოლი გაიტანა ბლოხინმა, თანაც, ბრწყინვალე გოლი. ბლოხინმა ბურთი მიიღო „ბაიერნის" საჯარიმო მოედნის ახლოს, მშვიდად შეაფასა სიტუაცია, მერე თამამად გაიჭრა წინ, ზედიზედ მოატყუა სამი მცველი და მეკარე მაიერისგან შორ კუთხეში დაარტყა.

„ბაიერნის" ფეხბურთელები ამ გოლის შემდეგ ერთ ათ წუთს გონს ვერ მოვიდნენ. კიეველები, რომლებიც ტემპის დაგდებას ცდილობდნენ, მარჯვედ აკონტროლებდნენ ბურთს მინდვრის ცენტრში. მასპინძლებმა რამდენიმეჯერ უხეშად მოცელეს ბლოხინი და საბჭოთა გუნდის კაპიტანი კოლოტოვი. ექიმის დახმარებაც კი გახდა საჭირო.

ბოლო ხუთ წუთს „ბაიერნი" უტევდა სტუმრების კარს, მაგრამ შეტევები ცოტა ერთფეროვანი იყო. მასპინძლები ამ იერიშებს იწყებდნენ მიულერის საბოლოო დარტყმის იმედით, მაგრამ კიეველთა გუნდის მცველებმა ფომენკომ და რეშკომ საიმედოდ ჩაკეტეს ეს მრისხანე თავდამსხმელი.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი მე-14 წუთზე შეიქმნა, როცა მინდვრის მასპინძლებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს. მაგრამ რეშკომ თავით მოიგერია ბურთი. იქვე ბლოხინი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მაიერი ადგილზე აღმოჩნდა. პირველი ტაიმის შუა მონაკვეთში ბურიაკი ბურთით დარჩა ცარიელი კარის წინ და დაარტყა. ბურთმა თითქოს გადაკვეთა კარის ხაზი, მაგრამ მცველმა რაღაც სასწაულით მოიგერია საფრთხე. რამდენიმე ხნის შემდეგ სლობოდიანს მიეცა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ მაიერმა ბურთი აიღო. მალე „ბაიერნის" კაპიტანმა, ბეკენბაუერმა გარღვევაზე გაიყვანა მიულერი, მაგრამ კონკოვმა დაასწრო თავდამსხმელს.

სახიფათო მომენტების ასეთი სიმრავლე მწვავე და საინტერესო თამაშზე მეტყველებს. მასპინძლები მეტს უტევდნენ, მაგრამ გოლის გატანის ბევრად ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ. დინამოელები სახიფათო კონტრიერიშებს ახორციელებდნენ. განსაკუთრებით ნაყოფიერად თამაშობდა კონკოვი.

კიევის „დინამო" გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: რუდაკოვი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, დამინი, სლობოდიანი, კოლოტოვი, ბურიაკი, ბლოხინი. მიუხედავად იმისა, რომ კიეველთა გუნდში არ იყვნენ უძლიერესი მოთამაშეები ონიშჩენკო, მუნტიანი, მატვიენკო (ეს ფეხბურთელები ტრავმის გამო არ თამაშობდნენ) და ვერემეევი, რომელსაც არ ჰქონდა უფლება ეთამაშა საერთაშორისო მატჩის დროს მინდვრიდან გაძევების გამო, დინამოელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. მატჩის შემდეგ „ბაიერნის" მწვრთნელმა კრამერმა თქვა, რომ კიევის „დინამო" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საკლუბო გუნდია. მას განსაკუთრებით მოეწონა ბლოხინი. „ამ სწრაფმა თავდამსხმელმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა", — დასძინა კრამერმა.

კიეველთა უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი კმაყოფილი დარჩა თამაშით. „მატჩი ყველა ფეხბურთელმა ძალიან ძლიერად ჩაატარა. ამიტომ ჩვენი გუნდიდან არ მინდა ვინმე გამოვყო. ტაქტიკური დავალება შესრულდა".

6 ოქტომბერს კიევში გაიმართება საპასუხო მატჩი.

ესაა „სუპერთასის" მეორე ოფიციალური გათამაშება, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი. გაგახსენებთ, რომ წლევანდელ სეზონში კიეველებმა მოიპოვეს თასების მფლობელთა თასი.

„სუპერთასის" ისტორია 1973 წლიდან იწყება, როცა ჰოლანდიის გაზეთ „დე ტელეგრაფის" თაოსნობით ჩატარდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „აიაქსისა" (ამსტერდამი) და თასების მფლობელთა თასის გათამაშების ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსის" (გლაზგო) ორი შეხვედრა. მაშინ გაიმარჯვა „აიაქსმა" — 3:1 და 3:2. საინტერესოა, რომ თვით „ორთა შეჯიბრების" თასი ევროპის ფედერაციას ჯერ არ დაუწესებია. ამიტომ ორი მატჩის მონაწილენი, აგრეთვე, არბიტრები უეფას მედლებსა და ვიმპელებს მიიღებენ.

* * *

სურათზე: ო. ბლოხინი.

ობიექტივში მსოფლიო

„მაინც ჩემზე ძლიერია"

• •

სპიტცის მემკვიდრე

მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების სიას წლეულს, როგორც ჩანს, სათავეში ჩაუდგება პენსილვანიის შტატის (აშშ) ქალაქ პიტსბურგის მკვიდრი, 32 წლის ზანგი სპორტსმენი არტურ ეში. წლეულს მან უიმბლდონის ტურნირი მოიგო და, ცხადია, პირველი კანდიდატი იქნება უძლიერესი ჩოგბურთელის სახელისთვის ბრძოლაში.

არტურ ეში 14 წელია, რაც საერთაშორისო სარბიელზე იბრძვის. იგი ბევრი საერთაშორისო ტურნირის ლაურეატია, მაგრამ უიმბლდონი მაინც უიმბლდონია.

ამერიკელმა ზანგმა პირველი ჩოგნის ტიტული ფინალურ ბრძოლაში წაართვა თვით ჯიმ კონორსს. ამის თაობაზე ეშმა განაცხადა: „მართალია, კონორსი დავამარცხე, მაგრამ იგი მაინც ჩემზე ძლიერია. მსოფლიოს პირველ ჩოგნად მე ის მიმაჩნია".

სურათზე: არტურ ეში ავტოგრაფებს არიგებს თავის მშობლიურ ქალაქ პიტსბურგში დაბრუნების შემდეგ.

• •

ამერიკელმა მოცურავემ მ. სპიტცმა მიუნხენის ოლიმპიადაში ნამდვილი ფურორი მოახდინა — 7 ოქროს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადების ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. მაგრამ აი, მონრეალის ოლიმპიადა მოახლოვდა და აშშ-ს მოცურავეთა ნაკრებში გამოჩნდა სპორტსმენი, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ სპიტცის მემკვიდრედ. ესაა 17 წლის სტუდენტი ტიმ შოუ. მან ამას წინათ მარტო ერთ შეჯიბრებაში — ლონგ ბიჩში გამართულ ასპარეზობაში სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400, 800 და 1500 მეტრზე ცურვაში.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შოუ განსაკუთრებით სწრაფად ცურავს ბოლო მონაკვეთებზე, რაც მათ აფიქრებინებს, რომ სპორტსმენს 100- და 200-მეტრიანი დისტანციების დაძლევაც ასევე წარმატებით შეუძლია.

• • •

სურათზე: ტიმ შოუ ლონგ ბიჩში ასპარეზობისას.

ЧЕМПИОНАТ МИРА ПО БОРЬБЕ FILA МИНСК'75

დღეს საზეიმო გახსნაა

მინსკი, 10 სექტემბერი. დღეს ბელორუსიის დედაქალაქის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობის სამ სახეობაში — კლასიკურში, თავისუფალსა და სამბოში, ხვალ კი პირველ შეხვედრებს გამართავენ კლასიკური სტილის ათლეტები.

მინსკის აეროპორტი, მოედნები, ქუჩები საზეიმოდაა მორთული. ბელორუსიის მშრომელები სტუმართმოყვრულად ხვდებიან უცხოელ ათლეტებს, რომელთაგან ყველაზე ადრე მექსიკისა და იაპონიის მოჭიდავეები ჩამოვიდნენ. გუშინ და გუშინწინ მინსკს ესტუმრნენ ბულგარეთის, გდრ-ის, საბერძნეთის, იტალიის, კუბის, პოლონეთის, სენეგალის, აშშ-ს, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ბევრმა ათლეტმა უკვე ჩაატარა პირველი საწვრთნელი მეცადინეობა. სტუმრები კმაყოფილი არიან დახვედრით, ადგილობრივი სპორტის სასახლით.

ბელორუსიის დედაქალაქს ეწვივნენ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მ. ერცეგანი (იუგოსლავია) და ფედერაციის ბიუროს სხვა წევრები. დღეს მათ დაათვალიერეს სპორტის სასახლე, სადაც გაიმართება ჩემპიონატების საზეიმო გახსნა და შეხვედრები. თავისი შთაბეჭდილებები ერცეგანმა გაუზიარა ჟურნალისტებს:

— გაკეთდა ბევრი რამ და, რაც მთავარია, ხარისხიანად. დარწმუნებული ვარ, რომ ასპარეზობა ჩატარდება გულითად ვითარებაში და მაღალ სპორტულ დონეზე.

მსოფლიო ჩემპიონატებისადმი ინტერესი უზომოდ დიდია. შეჯიბრების ყველა დღისთვის ბილეთები უკვე გაყიდული ან დაჯავშნულია. მოჭიდავეთა ფორუმისადმი ინტერესს იჩენენ არა მარტო ადგილობრივი გულშემატკივრები, არამედ ლენინგრადის, კიევის, ვილნიუსის, მახაჩყალისა და სხვა ქალაქების სპორტის მოყვარულებიც. მათთვის დაჯავშნულია ბილეთების გარკვეული რაოდენობა.

მსოფლიო ჩემპიონატებას საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, მინსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კოვალიოვმა განაცხადა, რომ, სპორტული ნაწილის გარდა, ჩამოსული ათლეტებისთვის გათვალისწინებულია ფართო კულტურული პროგრამა, რომლის მიზანია გააცნოს სტუმრებს ბელორუსიის ხალხის ყოფა-ცხოვრება.

მინსკის სხვადასხვა ორგანიზაციამ უკვე დაამზადა და სავაჭრო ორგანიზაციებს გასაყიდად გადასცა სპეციალური სამკერდე ნიშნები, თასები, ჩანთები, სამახსოვრო მედლები, სხვა სუვენირები.

ფართო ასორტიმენტით დამზადდა ბროლის, მინისა და ფაიფურის ნაწარმი მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემით. ისინი დაამზადეს „ნემანის", ძერჟინსკის სახელობისა და ფაიფურის ქარხნების კოლექტივებმა.

დიდი მუშაობა გასწია ბელორუსიის კავშირგაბმულობის სამინისტრომაც. დამზადდა სპეციალური საფოსტო ბარათები და მარკები ჩემპიონატის ემბლემით. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ექსპონატები გაამდიდრებენ კოლექციონერთა არქივებს.

დღეს ოფიციალურად გამოქვეყნდა ჩემპიონატის რეგლამენტი. შეჯიბრებები კლასიკურ ჭიდაობაში ჩატარდება 11-14 სექტემბერს, თავისუფალში — 15-18 სექტემბერს, სამბოში — 19-21 სექტემბერს. შეხვედრები გაიმართება სამ მრგვალი ფორმის ლეიბზე დღისით და საღამოთი.

ფინალის პირველი პარტიები

მილანი, 10 სექტემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ფინალური მატჩის პირველ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი და უნგრელი დიდოსტატი ლ. პორტიში ყაიმზე შეთანხმდნენ. III-IV ადგილებისთვის მებრძოლების — ტ. პეტროსიანისა და იუგოსლაველი ლ. ლიუბოევიჩის შეხვედრაში გაიმარჯვა საბჭოთა დიდოსტატმა.

ორი ჩემპიონი

ამას წინათ გომელში გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი მძლეოსნობაში. საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები II ჯგუფში გამოდიოდა და, ისევე როგორც შარშან, ახლაც გამარჯვება მოიპოვა.

უფროსებისა და იუნიორებისთვის პირადი პირველობა ცალ-ცალკე თამაშდებოდა. თბილისელმა ნ. ჩიგოშვილმა 100 მეტრზე რბენაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა — 10,6. ჩემპიონი გახდა, აგრეთვე, ხუთჭიდელი ნ. დანილოვა, რომელმაც 3579 ქულა მოაგროვა.

ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში ფინიშთან მეორე მივიდა ნ. გვრიტიშვილი — 1.02,0. II ადგილი მოიპოვა ვეთა კვარტეტმაც 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 43,0.

გ. ზედოშვილმა უროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავა — 55,78 მ.

უცხოეთის ფეხბურთის ახალი ამბები

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის დიდ ინტერესს იწვევს. დაძაბულად მიმდინარეობდა ძველი მეტოქეების — არგენტინისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრა ქ. როსარიოში (არგენტინა). მატჩის პირველი ნახევარი უშედეგოდ დასრულდა. 54-ე წუთზე ბრაზილიელმა დანიელმა გაიტანა გოლი, რომელმაც თამაშის ბედი სტუმრების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ამრიგად, ჩემპიონატს 4 გუნდი შემორჩა: ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი და პერუ.

ბარსელონაში გამართულ ოთხთა ტურნირში მონაწილეობდნენ „ესპანიოლი" (ბარსელონა), „ესტუდიანტესი" (ლა პლატა, არგენტინა), „რეალი" (სან-სისტებანი) და „ფკ ბრიუგე" (ბელგია).

გადამწყვეტ მატჩში „ესპანიოლმა" ანგარიშით 2:0 მოუგო „ესტუდიანტესს" და პირველი ჯილდო მოიპოვა.

როდესაც უეფა-ს თასის გათამაშების წილისყრა მოეწყო, არ იყო დასახელებული ჰოლანდიის ერთი წარმომადგენელი, ვინაიდან აქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ არ იცოდა, რომელი გუნდი გაეგზავნა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. საამისოდ მას სპეციალური შესარჩევი ტურნირის ჩატარება მოუხდა.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ტვენტე", „სპარტა" (როტერდამი), „აც ალკმაარი" და პოპულარული „აიაქსი". გაიმარჯვა „აიაქსმა", რომელიც გამოვა კიდეც უეფა-ს თასის გათამაშებაში.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02901